გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის* დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ***შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის* ინსტიტუტის დირექტორს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - *შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის* დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. ***შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის* ინსტიტუტის დირექტორად** შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ***შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის*** ინსტიტუტის უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-11 მუხლით (უვადო ან ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისთვის დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები).

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს -

4.1 მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებული **მოთოხვნებიდან ერთ-ერთს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (უვადო) _ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში. (ვაკანსიის პროფილის მიხედვით).

ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 10 წლის ვადით - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით. (ვაკანსიის პროფილის მიხედვით).

4.2 კონკურსანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ:

ა) სამეცნიერო დაწესებულების ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

ბ) პროფილური საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვის სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება;

გ) საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტების ხელმძღვანელობის მრავალჯერადი გამოცდილება.

დ) რამდენიმე სამეცნიერო-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

ე) უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის 5 წლის გამოცდილება;

ვ) პროფილური რეიტინგული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობის 5 წლის გამოცდილება.

5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა.

კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 21 ივლისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2017 წლის 24 ივლისიდან 2017 წლის 1-ლი აგვისტოს ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. 5, მე-2 სართული, კანცელარიაში.

კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2017 წლის 4 აგვისტოსი.

კონკურსი გამოცხადებულია თსუ წესდების 23^2 მუხლით დადგენილი წესით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნის მიზნებისათვის და მისი შედეგები ძალაში შედის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნისთანავე.